



AK-AIR GEORGIA

მის.: ქ. მცხეთა, სოფ. ნატახტარი / Add.: Village Natakhtari, Mtskheta, Georgia / მობ./Mob.: + 995 574 710 710

№ 20/01-154

30 ნოემბერი 2020

წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „აკ-ეარ ჯორჯია (436041061)“, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

დირექტორი



ირაკლი კუტალია

შპს „აკ-ერ ჯორჯია“

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის**

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

შპს „ აკ-ეარ ჯორჯია “-ის 2019 წლის 1 იანვრიდან – 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
მიწა	-	-
ძირითადი საშუალებები	4 642 108	2 536 753
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	4 642 108	2 536 753
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	384 963	61 374
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 258 952	2 120 101
ფული და ფულის ეკვივალენტები	362 554	68 785
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისდები შემოსავალი	138 465	201 607
სულ მოკლევადიანი აქტივები	3 144 934	2 451 867
სულ აქტივები	7 787 042	4 988 620
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2 454 836	-
გაუნაწილებელი მოგება+/დაუფარავი ზარალი-	1 055 246	854 643
სულ კაპიტალი	3 510 082	854 643
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2 170 218	2 328 310
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2 170 218	2 328 310
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	678 404	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	12 455	-
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 415 883	1 805 666
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2 106 742	1 805 666
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5,013,352	12,266

დირექტორი

ი. კუტალია

შპს „ აკ-ეარ ჯორჯია “-ის 2019 წლის 1 იანვრიდან – 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

(საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	2019
შემოსავალი	10 424 375
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(8 687 497)
საერთო მოგება	1 736 878
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(771 724)
საოპერაციო მოგება	965 154
ფინანსური ხარჯი, ნეტო	(402 845)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	(430 540)
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო	68 833
მოგება დაბეგვრამდე	200 602
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება	200 602
სხვა სრული შემოსავალი	-
მთლიანი სრული შემოსავალი	200 602

დირექტორი

ი. კუტალია

შპს „ აკ-ეარ ჯორჯია “-ის 2019 წლის 1 იანვრიდან – 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი:

(საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	2019 წ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მოთიანი სრული შემოსავალი	200 602
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	398 266
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	402 845
სხვა კორექტირებები	430 540
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	1 432 253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(75 709)
მარაგები	(323 589)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(377 328)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	655 627
გადახდილი მოგების გადასახადი	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	655 627
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებები	(2 503 620)
არამატერიალური აქტივები	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 503 620)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	
საწესდებო კაპიტალი	2 454 836
სესხების მიღება	55 475
სხვა გათანაბრებული გასავალი	61 992
	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება ფინანსური საქმიანობიდან	-
	2 572 303
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	68735
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	362554

დირექტორი

ი. კუტალია

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2019 წლის 1 იანვრიდან – 2019 წლის 31 ჩათვლით პერიოდის მდგომარეობით კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში.

(საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი
1 იანვარი 2019	-	854 643	-
საწესდები კაპიტალის ზდა+/კლება -	2 454 836		
გაცემული დივიდენდები -	-	-	-
მთლიანი სრული მოგება+/ზარალი-	-	200 602	-
31 დეკემბერი 2019	2 454 836	1 055 245	-

დირექტორი

ი. კუტალია

შპს „ აკ-ეარ ჯორჯია “-ის

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

შ.პ.ს. აუდიტორულ კომპანია „ლევინგ“-ს ხელშეკრულების საფუძველზე დაევალა ჩაეტარებინა აუდიტორული შემოწმება შ.პ.ს. „აკ-ეარ ჯორჯია“-ში.

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. “ აკ-ეარ ჯორჯია“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2017 წლის 13 ივლისს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 436041061;

კომპანიაში 2019 წლის 15 ნოემბერს მოხდა დამფუძნებლების ცვლილება.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება WINGS 4 SKY GROUP SIA, LV50003224381 /ლატვია/, 27.10.1994

2.კონსტანტინს სოლოდუჰა, 050168-10503, LZ4067047 /ლატვია/

3.მარლიეს სოლოდუჰა, კუბა, 01801137789 /საქართველო/

4.ირაკლი კუტალია, 62001019316

5.ამირან მანჯავიძე, 01007001797

6.მაიკლ ფეოფანოვ, 01601133944 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, ბელარუსი/

ფურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი , სოფელი ნატახტარი.

ორგანიზაციის დირექტორი: ირაკლი კუტალია პირადი ნომერი 62001019316.

ორგანიზაციის საქმიანობის სახეა: საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო ავიაგადაყვანა-გადაზიდვა, საჰაერო ხომალდების და სხვა საავიაციო საშუალებების შეძენა და ექსპლუატაცია, საავიაციო და სპეციალური საავიაციო სამუშაოს შესრულება, მგზავრების და ტვირთების საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შ.პ.ს. „აკ-ეარ ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; ასევე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არ არის ფუნქციონირებადი. ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივი და ვალდებულებები ასახულია სალიკვიდაციო ღირებულების მიხედვით (კომპანიისთვის სალიკვიდაციო ღირებულება არის

წმინდა თანხა, რომელიც მოსალოდნელია დარჩეს საწარმოს აქტივის მომსახურების ვადის ამოწურვისას, გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯების გამოკლებით.);

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2019 წლის ერთობლივი შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები გამოიყურება:

	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	10 424 375
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	68 833
სულ შემოსავალი	10 493 208

	2019
მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	
მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	7 296 600
პირდაპირი ხელფასი	1 390 898
სულ თვითღირებულება	8 687 497

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019
ხელფასები	82 029
ცვეთა და ამორტიზაცია	398 266
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	202 906
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	9 000
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	36 728
კომუნალური ხარჯები	5 637
საკომისიო ხარჯი	3 723
შეკეთების ხარჯები	7 076
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	26 360
სულ	771 724

კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო 2019 წლისთვის:

2019	
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(4 149)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	434 689
	430540

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა

ბანკის კრედიტებით და დოკუმენტალური ვალდებულებებით
სარგებლობაზე გადახდილი სარგებელი 2019 წლისათვის

2019	
დარიცხული და გადახდილი სარგებელი სესხებზე	253649
დარიცხული და გადახდილი სარგებელი დოკ.ვალდ	149196
	402845

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

ძირითადი საშუალებები 2019 წლის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	მანქანა - დანადგარები	მანქანა - დანადგარები	სულ
ნაშთი 01.01.2019		7664	1963038	780471	2751173
შემოსვლა		6997	3374839	-	3381836
გასვლა	-		-97744	-780471	-878216
ნაშთი 31.12.2019	-	14660	5240133	-	5254794

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 01.01.2019		-1268		(213 152)	-214421
ცვეთა წლის განმავლობაში		-1922		(396 343)	-398265
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-		-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	-3190		-609495	-612686

ნეტო საბალანსო ღირებულება

ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2019	-	-	1749886		2536753
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2019	-	-	4630638	-	4642108

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტი-ვის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გა-დაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯა-რის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფი-ნანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალ-დებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთისმიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება 'პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში' ('ფიფო') მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური სა-პროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	2 258 952	2 120 101
არაფინანსური მოთხოვნები		-
გადახდილი ავანსები	138 465	201 607
ჯამი	2 397 417	2 321 708

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის განმავლობაში:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	1252897	1841322
სახელფასო ვალდებულებები	121904	21870
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი გადასახადები	41083	-57525
გადასახდელი დივიდენდები		-
	1442884	1805667

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის გამცემი:	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ბანკი ქართუ-ს.ს	2 848 622	2 328 310
	2 848 622	2 328 310

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარის ვალდებულება.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია ოთხი ხელშეკრულება იჯარის თობაზე .

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24

„დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ:

აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის

ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2019 წლის ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია;

შპს “ აკ-ეარ ჯორჯია“-ს

დირექტორი: ირაკლი კუტალია

პირადი ნომერი 62001019316